წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 23 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 175

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 1ბ კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1916 წ. „საქართველო“ 1916 წ.

უპრემიოდ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამასებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 3 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვითურად—80 კ.

პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მოწერითვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მან., 1 მაისამდე 3 მან., 1 ენკენისთვემდე 2 მან. ვინც 1 მარტამდე 9 მან. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ექვსა პრემიით მიიღებს.

## პრემიები:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცხოვრელ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული.
2) „საქართველოს“ გიგლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ.
3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუქა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მერანი“

კრებული წლიურ ხელის მოწერათათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თებათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცხოვრელ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. შემოღგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მოწერთ კრებული „მერანი“ უფასოდ დაურიგდებათ.

პირველი წელი

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეშვიდე წელიწადი

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ძ. გ ო რ შ ი

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინავან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

კბილის ექიმობა

მაყულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“-ზე

წელიწადი მეთოთხმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გად. ვენით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერელებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. სამტრედიაში—ვლ. ნაცვლაძესთან. ფოთში—ლუდმილა მეგრელიშვილთან. ბათომში—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში ტ ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—მარიამ ნაკაშიძესთან. გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. ჰიათურაში—ივ. გომელაურთან. ხონში—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა

კიკნა-ფშაველის

პოემებისა და რჩეულ ლექსების კრებული, რომელსაც წინ დაერთვის ავტორის სურათი, მოკლე ბიოგრაფია-წინასიტყვაობა ტ დ. კასრაძის კრიტიკული წერილი.

წიგნი ელირება ათ შაურად

ხელის მოწერა შეიძლება „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციაში და მიხ. ხერხეულიძესთან: თბილისი, პარკოვსკის ქ. № 27.

(4—0—3)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

22 ქრისტეშობისთვე.

### უვაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან

კეტროგრადი. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. ჩარტორისკის რაიონში და სტრიპის ზემოდ რუსებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე იერიში და საკმაო ზარალიც მიაყენეს. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით ძველებურის სიმტკიცით ბრძოლას განაგრძობენ. რუსის რაზმები, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი კონტრიერიში მიაქვთ მათზე, მაინც წინ იწევენ, მტრის დანაკლისი დიდი არის. რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 16 აფიცერი და 766 ჯარისკაცი, იმ დაჭრილთა გარდა, რომელნიც ბრძოლის ველზევე დარჩნენ.

კავკასიის ფრონტი. შავი ზღვის ნაპირებზე 19 ქრისტეშობისთვეს ოსმალნი შეეცადნენ რუსთა პოზიციებს მოახლოვებოდნენ, მაგრამ მალე შეჩერებულ იქმნენ თოფის სროლით. სპარსეთში, ქამადანის მიმართულებით, ქ. ასად-აბადის სამხრეთ-დასავლეთით რუსებმა მიიტანეს იერიში სპარსელ ჟანდარმთა რაზმზე, რომელიც შესდგებოდა 500 კაცისაგან და სოფ. ჩენარისკენ გადაჰრეკეს. ამასთანავე რამდენიმე ათეული კაცი მოუკლეს და ტყვედ წამოიყვანეს კიდეც. რუსებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათ. 19 ქრისტეშობისთვეს ქამადანში რუსის ჯარებმა შესაფერი პატივი სცეს ინგლისელთა დროშას, რომელიც ინგლისელთა საელჩოს თავზე ააფრიალეს.

---

რომი, 20 ქრისტეშობისთვე. ღამით 19 ქრისტეშობისთვეს მტერმა რამდენჯერმე იერიში მოიტანა მორის მახლობლივ ლაგარინოს ღელეში, რომელიც სულ ადვილად მოვიგერიეთ. კირსოსთან რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. 19 ქრისტეშობისთვეს მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს სარნაში, ბორმაში, სავნოში, მაგრამ ზარალი არ მოგვსვლია.

ლონდონი, 20 ქრისტეშ. ფრონტის გასწვრივ ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა ჟივანშის აღმოსავლეთით მტერმა ნაღმი ააფეთქა, მაგრამ მის დაჭერას კი არ შეეცადა. ჩვენ ჩვენის მხრით სამი ნაღმი ავაფეთქეთ.

ცეტინიე, 21 ქრისტეშ. ჩრდილოეთის ფრონტზე საარტილერიო სროლაა. მანჟოვაცის მიმართულებით სუსტი საარტილერიო სროლაა. გოდუევთან მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ დიდი ზარალით უკუვაგდეთ. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო სროლაა, ზოგგან ქვეითი ჯარიც იღებს მონაწილეობას.

ბუქარესტი, 20 ქრისტეშობისთვე. 16 ქრისტეშობისთვეს სოფიაში, მეფის სასახლეში მოხდა თათბირი მეფე ფერდინანდის მეთაურობით. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ მისი შვილები, მაკენზენი და მისი შტაბი, პოლკოვნიკი სტეეტი, გერმანელი სამხედრო აგენტი ფონ-მასოვი, მთავარ-სარდალი ჟეკოვი, ბოიაჯევი და სხვანი. თათბირს მიზნად ჰქონდა გაერკვია სოლუნში მოქმედების გეგმა. მაკენზენის მიერ არაჩვეულებრივი პატივისცემა ბოიაჯევისადმი ჰმოწმობს, რომ მათ შუა რაღაც უთანხმოებაა, ხოლო მაკენზენს ჰსურს პესიმისტური შეხედულებანი განუბნიოს მას და სოლუნში გაგზავნოს სამოქმედოთ. მეფე ფერდინანდი იზიარებს მაკენზენის შეხედულებას. იგი მალე გაჰგზავნის ჯარებს სოლუნისაკენ. იმავე დღეს მაკენზენმა დასტოვა სოფია.

ათინა, 20 ქრისტეშობისთვე. მოკავშირენი განაგრძობენ გერმანელებისა, ავსტრიელებისა, ოსმალებისა და ბოლგართა ჭერას.

პეტროგრადი, 21 ქრისტეშ. „ოჯახი“ ჰგულისხმობს არა მარტო ომში წასულ ჯარისკაცთა ცოლსა და შვილს, არამედ დედ-მამას და და-ძმას, თუ ეს უკანასკნელნი მის ომში წასვლამდე, მის ხარჯზე სცხოვრობდნენ.

## ქურნალ-გაზეთებიდან

რუმინეთი

„ჟურნალ დე ბალკან“-ი სწერს: რუმინეთი თუ ომში ჩაერია, მას შეუძლიან გამოიყვანოს 600=700 ათასამდე მეომარი. ამათგან 200 ათსს კარპატებში დასტოვებს, ავსტრიელთა მოსაგერებლად, დანარჩენს სამხრეთსა და დასავლეთის ასპარეზზე გაჰგზავნის.

რუმინეთის ორასი ათასი მეომარი სრულიად კმარა კარპატებში, თავდაცვისთვის; მით უფრო, რომ ავსტრიას აქ ამ ჯარის ნახევარიც არა ჰყავს, რის გამოც იერიშს ვერ გაჰბედავსო. იერიშისთვის აქ ავსტრიას დასჭირდებოდა 300 ათასი მეომარი მაინც. ხოლო აქაურ ადგილ-მდებარეობისა და ჰავის მეოხებით ავსტრიის ჯარის კარპატებზე გადასვლა და რუმინეთში შეჭრა მოსალოდნელი არ არის.

ამიტომ რუმინეთს თავისუფლად შეუძლიან დანარჩენი ჯარი სხვა ასპარეზზე დაგზავნოს. აქაც რუმინეთის ჯარს გასაჭირი არ ელის: სერბეთში მიმდინარე დუნაის ნაპირზე ავსტრო-გერმანეთს დიდი ჯარი არ უდგას. მაკენზენის ჯარი ვერ გაუძლებს რუმინეთისას 4—5 დღემდე. უკანასკნელი მას ადვილად მოსწყვეტს საკვებ ბაზას ხოლო 4—5 დღემდე მაინც ჯარი გზას ვერ გაარღვევს, ამ ხანში საომარი მასალაც დაელევა და იძულებით დანებდება.

მაკენზენი ბოსნიაში თუ შეაფარებს თავს, მაგრამ აქაც რუმინეთის ჯარი მას დაბრკოლებას შეაგებებსო. ამგვარად ავსტრია-გერმანეთის ძალები აუცილებლად დაემხობაო.—ასე იმედიანად სწერს გაზეთი, ალბად რუმინეთის წასაქეზებლად.

ბალკანეთში.

ბულგარეთის დანარჩენი ჯარის უფროსები დამოუკიდებლად მოქმედებენ. ბალკანეთზე ბრძოლის დასასრული ჯერ შორს არის. საჭიროა ჩვენ მიერ დაპყრობილ ადგილების საბოლოოდ უზრუნველყოფა. ჯარის ნაწილის დათხოვნაც-კი წარმოუდგენელია. ეხლა მხოლოდ შესაძლებელია ის ხნიერი ხალხი დავაბრუნოთ სახლებში, რომელნიც მებარგულობას ეწევიან.

სალონიკში.

სალონიკში მყოფი ავსტრიისა და გერმანეთის კონსულები მოკავშირეებმა დაატუსაღეს და საალყო წესები გამოაცხადეს.

სოლუნში.

საბერძნეთის სამხედრო მთავრობამ და სოლუნის გენერალ-გუბერნატორმა გადაჭრით უარი განაცხადეს მოკავშირეთა მოთხოვნილებაზე, ავსტრიისა და გერმანეთის კონსულების გაძევების გამო. ასეთი მოთხვნილება საბერძნეთის სუვერენიტეტის დარღვევა არისო.

გერმანეთის საომარი ხარჯი.

მომავალი წლის 1 მარტამდე გერმანეთის საომარი ხარჯი 70 მილიარდ მარკას უდრის.

ესად-ფაშა.

ალბანეთში ესად-ფაშას 20 ათასი მეომარი ჰყავს. პარიზის გაზეთების ცნობით, ესად-ფაშამ ავსტრიას ომი გამოუცხადა.

---

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი გადმოგვცემს, ბულგარეთის მთავარ სამხედრო შტაბის უფროს გენერალ შოსტოვის აზრს: მოკავშირეთა ჯარმა, თუმცა დიდის გაჭირვებით, მაინც მოახერხეს სტრატეგიული დახევა სერბეთის მაკედონიიდან საბერძნეთის მიწა-წყალზე. მოკავშირენი ეხლა დგანან კუკუშის და

ყარასულის ჩრდილოეთიდან დაწყებული ვლადასა და სეხოვში. ინგლის-საფრანგეთის ჯარის პირი მისდევს კარავანელისა, სმოლების შუა და ვარდაზე მანდაგის უღელტეხილამდე, აქედან სამხრეთ-დასავლეთისაკენ უხვევს სალონიკ-მონასტირის ხაზამდე.

კუკუშას სამხრეთით ინგლისელ-ფრანგები სდგანან დასავლეთის მხრივ. მათის ცნობებით საბერძნეთის მაკედონიაში ჰყავთ 180 ათასი მეომარი. აქ გერმანელებისა და ბულგარელების შტაბს ცალცალკე ჰქონდა შემუშავებული სამოქმედო გეგმა, მხოლოდ გენერ. ბოიაჯიევის ჯარის სამოქმედო გეგმა იყო საზიაროდ შემუშავებული. აქ მაკენზენის ხელმძღვანელობით მოქმედებდა გენერალ კელვეშისა და გალფიცას ჯარები.

**რუსეთის ასპარეზი.**

**რიგის გარშემო.**

რიგის მიდამოებში ზარბაზნების გრგვინვა ქალაქს აზანზარებს. გერმანელების გამაგრებულ ადგილთა პირველი წყება დაანგრიეს. გერმანელები სწრაფად აახლებენ სიმაგრეებს. რუსები ზარბაზნების სროლით ხელს უშლიან.

დვინის დასავლეთით, რიგის მახლობლად, განსაკუთრებით კეკაულისკის და იკსკიულის მიდამოებში მოპირდაპირე გაშმაგებით ჰხვერავს რუსის დაბანაკებას როგორც ცხენოსნებით ისე ჰაეროპლანებით.

**შლოკის გარშემო.**

გერმანელებმა შლოკის მხარეს 30 ზარბაზნის ყუმბარა ისროლეს. უმთავრესად მდ. აას კურლიანდიის სანაპიროებს უშენდნენ. სროლა შუადღისას ასტეხეს და 2 საათს აწარმოეს ყუმბარები გაყინულ ააზე სკდებოდა. ერთი ყუმბარა შლოკის ლიუტერანთა ეკლესიასთან გასკდა, ეკლესიის ფანჯრები ჩალეწა და ახლო-მახლო სახლები დააზიანა. რუსებმაც რო სროლით უპასუხეს, გერმანელებმა სროლა შესწყვიტეს. გერმანელები ეხლა დაბანაკებულნი არიან მდ. აას მარჯვენა ნაპირას, ხოლო შმარდენის მიდამოებში-კი ამ მდინარის მარცხენა ნაპირას.

**მინსკის მიდამოებში.**

მინსკის მიდამოებში ჭაობიან ადგილების გამოსაყენებლად გერმანელებს დიდძალი ლამი მოუზიდიათ, ჭაობები ამოუვსიათ, ზემოდან დუღაბი დაუსხავთ და ამ ადგილებში მავთულების ხლართები გააბეს. სანამ ყინვები იყო არა უჭირდათ-რა, მაგრამ მოთბა თუ არა ნიადაგი გალხვა და ეს ადგილებიც დაიშალა. ახლა გერმანელებმა მორებით დააგეს ზარბაზნების საზიდი გზები. რუსები აქაც ზარბაზნის სროლით ხელს უშლიან.

## უკანასკნელი ფოსტა

**საბერძნეთის ჯარი.**

საბერძნეთმა თავისი ჯარი სალონიკიდან გაიყვანა. მისი მეოთხე კორპუსი ეხლა ბალაჩასა და ლახავიდან ნეგრიტასა და ორანსაში გადაჰყავთ. მეხუთე კორპუსი სალონიკიდან ეკატერინსა და სოროვიჩაში გადაიყვანეს. მეთერთმეტე ქვეითა დივიზია სალონიკში დარჩა, სანამ ბულგარელები საბერძნეთის საღზვრ?ს გადაჰლახავენ. სალონიკში დარჩა მხოლოდ ნაწილი საბერძნეთის საველე ჯანდარმერია.

**საბერძნეთის პროტესტი.**

მოკავშირეებმა კავალაში ჯარის გადაყვანა იწყეს. საბერძნეთმა ამის გამო პროტესტი შეუთვალა მოკავშირეებს. მნიშვნელოვან ნაბიჯს ელიან საბერძნეთისაგან. ვენიზელოსი სცდილობს საბერძნეთი მოკავშირეებისაკენ გადახაროს.

**აჯანყება ეგვიპტეში.**

სენუსის თემი აჯანყდა და ეგვიპტის ერთი მხარე დაიპყრო.

**სერბიელნი და ბულგარნი.**

„პტი ჟურნალ“-ის სიტყვით, სერბიელთა ძლიერი ჯარი დურაცოს უახლოვდება.

ბულგარელები ალბასარის მიდამოებში მოქმედებენ.

**რუსეთის დასავლეთ-სამხრეთის მიდამოებში.**

„რუს. ინვ.“-ი სწერს: პრიპიატის სამხრეთით რუმინეთის მიჯნებამდე ბრძოლა დღითი-დღე ძლიერდება ფართოვდება და გააფთრებულ ხასიათს ღებულობს. ბესარაბიის ბრძოლის ხაზზე და დნესტრზე, ხალეშჩიკოვის სამხრეთ-დასავლეთით რუსებს იერიშები მიაქვთ. გერმანელების სიტყვით პრუტისა და დნესტრის მიდამოებში რუსები თავგამოდებით იბრძვიან ხალეშჩიკ-ჩერნოვიცის ხაზზე.

**გერმანელების დახმარება.**

ბულგარეთისათვის გერმანელებს ბერლინიდან სოფიაში კიდევ გაუგზავნიათ 50 ათასი გერმანული მუნდირი და კასკა.

**მაკენზენის გეგმა.**

რუსების მოძრაობის შესაფერხებლად მდ. სტირზე, რუმინეთის სანაპიროებამდე, მაკენზენი თავგამოდებით სცდილობს შეინარჩუნოს დნესტრისა და პრუტის შუა მდებარე ადგილები, რომ ნოვოსელიცი—ხალეშჩიკის ხაზზე შემოუტიოს და რუსების გალიჩინისაკენ სვლა მდ. სტრიპაზე შეაჩეროს, ამ ადგილებში მედგარ ბრძოლას უნდა ველოდეთ, მით უმეტეს, რომ რუმინეთის მიჯნებისკენ არის მიმართული ავსტრიისა და გერმანეთის იმპერატორთა გულისყური.

**ოსმალეთში.**

ჯემალ-ფაშა ბალკანეთში მომქმედ ოსმალთა ჯარის მთავარ-სარდლად დაინიშნა. ამბობენ ენვერ-ფაშა ეგვიპტეში მომქმედ ოსმალთა ჯარს გაუწევს ხელმძღვანელობასაო.

**დატუსაღებული კონსულები.**

სალონიკში მოკავშირეთა მიერ დატუსაღებული ავსტრია-გერმანეთის კონსულები ჯავშნოსან „პატრი“-ზე მოათავსეს და სადღაც გაისტუმრეს.

**მოსალოდნელი იერიში.**

იტყობინებიან, რომ ბალკანეთში მყოფ გერმანეთ-ბულგარეთის ჯარზე ამ დღეებში მოკავშირენი იერიშით მივლენ.

**რუსები ჩერნოვიცასთან.**

იტყობინებიან, რომ ბუკოვინაში რუსების ჯარი ჩერნოვიცას უახლოვდება.

## გრძოლის ველზე

რუსეთ-გერმანეთის ბრძოლის პირზე განვლილ დღე და ღამის განმავლობაში, ოფიციალ დეპეშის მიხედვით, არავითარ სამხედრო მოქმედებას ადგილი არა ჰქონია მდ. პრიპეტის ჩრდილოეთით. ხოლო ჩარტორისკის რაიონში და მდ. სტრიპის სათავის რაიონში ავსტრიელები და გერმანელები შემოტევას განაგრძობენ და რუსების სანგარ-თხრილებისაკენ მოიწევიან. ჯერჯერობით რუსები უმკლავდებიან მოპირდაპირეთ და სიახლოვეზედ არ უშვებენ. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლის სიმწვავე არ დაცხრალა. აქ რუსები, მიუხედავად მოპირდაპირეთა მრავალ გზობა კონტრ-იერიშებისა, დეპეშის ცნობით, წინ მოიწევიან. ამ რაიონში ბრძოლას ერთობ დიდი მსხვერპლი სდევს.

კავკასიის ბრძოლის პირზე, ოსმალები აკტიურ მოქმედებას განაგრძობენ, ხან შავი ზღვის პირას, ხან ბრძოლის პირის ცენტრზე და ხან კიდევ ერთ თავიდან მეორემდე. გუშინდელი დეპეშის ცნობით, შავი ზღვის პირას ოსმალებს შემოუტევიათ და ცდილან რუსების თხრილებსა და სანგრებს მიახლოვებოდენ, მაგრამ ამ ცდას მათთვის უშედეგოდ ჩაუვლია. სპარსეთში სამხედრო მოქმედებამ რუსებსა და აჯანყებულ სპარს-გერმანელ-ოსმალებ შორის დაჰკარგა პირველი ხანის სიცხოველე და სისწრაფე. ეტყობა მოპირდაპირეთა შორის ერთგვარი ძალთა თანასწორობა დამყარდა და ბოლო მოეღო ერთ მხრის წინანდელ სწრაფ გამარჯვებულ შემოტევას.

ამასთან ერთად დადგა ხანა სერიოზული წინასწარი მომზადებისა და ძალთა გაშლისა და ამ ოპერაციის მოთავების შემდეგ მოსალოდნელია დიდრიცხოვან ძალთა შეტაკება, რომელიც დროებით მაინც ერთგვარ სისწრაფეს შემოიტანს მოქმედების ტემპში და ერთნაირ მიმდინარობას მისცემს სამხედრო ოპერაციას.

მესოპოტამიაში ოსმალთა და ინგლისელთა შორის მძაფრი ბრძოლა სწარმოებს. ინდო-ინგლისელ ჯარის სარდალი გენერალ ტაუნსენდის უწყებით 12 ქრისტეშობისთვის ბრძოლაში ინგლისელებს მოუკლავთ 671 ოსმალო. კერძო ინგლისურ წყაროების მიხედვით თვით ინგლისელებისათვის კი 900 მეომარი მოუკლავთ. ინგლისელების საქმე მესოპოტამიაში კარგად ვერ მიდის და ხიფათის ასაცილებლად ინგლისის მთავრობას თავისი ჯარი ფლანდრიიდანაც კი მიყავს, იმ ადგილიდან, სადაც გერმანელთა შემოტევა ყოველთვის განსაკუთრებულ სიმძაფრესა და სიმწვავეს აღწევს ხოლმე.

ვიცით აგრეთვე, რომ ის ჯარი, რომელიც ინგლისის მთავრობამ სუეზიდან (გალიპოლიდან) წაიყვანა, მესოპოტამიისაკენ იქმნა გაგზავნილი. თავის მხრივ ოსმალეთიც აძლიერებს თავის ჯარებს მესოპოტამიაში, იგი ამრავლებს ჯარებს აგრეთვე ურმიის სამხრეთ რაიონში, შეიძლება იმ მიზნით, რომ მოპირდაპირე მოიმწყვდიოს და ზურგიდან დაემუქროს.

საბერძნეთის ტერიტორიაზედ მდგომარეობა რთულდება. მოკავშირეთა მხედრობის უფროსობა, როგორც ჩანს ანგარიშს არ უწევს საბერძნეთის მთავრობას და ზოგან მის სუვერენულ უფლებას ლახავს. როგორც აღნიშნული გვქონდა, გენერალმა სარაღმა მტარვალ სახელმწიფოთა ელჩებიდან-აპატიმრა; ხოლო გუშინდელმა დეპეშამაც გვამცნო, რომ მას რამდენიმე ასი ქვეშევრდომი შეუპყრია გერმნეთისა, ბულგარეთისა, ოსმალეთისა და სხვათა. საბერძნეთის მთავრობა მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს. პოფიაში მოხდა დიდი კრება, რომელსაც დაესწრო ბულგარეთის მეფე ფერდინანდი შვილებით, გენერალი მაკენზენი მისი შტაბით, ბულგართა ჯარის მთავარ-სარდალი ჟეკოვი და გენერლები ბოიაჯევა და ტოდორავი, ბულგართა პირველი და მეორე არმიათა სარდლები. ამ კრებას დიდი მნიშვნელობა შეიძენს მოყვება კერძოდ საბერძნეთის ტერიტორიაზედ სამხედრო მოქმედების გაჩაღების მხრივ. როგორც კერძო დეპეშები გადმოგვცემენ, ამ დღეებში შეერთებული გერმანელ-ავსტრიელ-ბულგართა ჯარი სალონიკის წინააღმდეგ დაიწყებს სერთო შემოტევას და სალიკვიდაციო გარდამწყვეტ ბრძოლას.

ევგიპტეშიც სამხედრო მოქმედება თანდათან იზრდება, ამ ბოლო ხანებში გახშირდა მოპირდაპირეთა შეტაკება რომელიც არც თუ მცირე მსხვერპლით თავდება ორსავე მოპირდაპირე მხარისათვის.

**მეგრი.**

**თბილისი, 23 ქრისტეშობისთვე**

**წამავალი საქართველოს საქმენი.** მონურმა ცხოვრებამ განსაკუთრებით გაამრავლა ჩვენში პასიური და სასომიხდილი ელემენტი. ერის ბედზე გულის აცრუება და მის მომავალზე უმეტესობა—ჩვეულებრივ სულიერ ვითარებად გადაექცა ყოველ უბადრუკ და უნიათო ქართველს. პასიური ეროვნული ფსიხოლოგია უკეთეს შემთხვევაში უდარდელად შეჰყურებს იმას, თუ როგორ განიბნევა ერის სიმდიდრე და დოვლათი, თუ როგორ ირღვევა და ითელება უცხო ძალთა მტრობით ქვეყნის სიმტკიცის ბჭე, მისი მიწა, მისი უფლება; ხოლო უარესს და უმეტეს შემთხვევაში იგი თვით იღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს გაბადგურების პროცესში. ქართველი კაცი ბევრ ისეთ რასმეს შეეჩვია, რომელსაც ვერ ურიგდება ვერც ერთი სალის და თავისუფალი ერის შვილი.

დასაბუთება იმისა, თუ რისთვის ვერ მოვითხოვთ და რისთვის არ გვერგება ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, დასაბუთება იმისა, თუ რისთვის უნდა შევიკუმშოთ თავი და ხელი ავიღოთ მთელს მაზრებზედ, დასაბუთება მრავალი ასეთი სიმახინჯისა და, საერთოდ, ნამდვილი მოსისხარი მტრის როლის თამაში საქართველოს მიმართ,—ჩვეულებრივ მოვლენად გადიქცა ჩვენი მოწინავე და „მებრძოლი“ სოციალისტების თეორიასა და პრაქტიკაში. ქვეყნის არა-მებრძოლი და ორგანიზაციის გარეშე მდგარი ქართველობა-კი ამ უკიდურეს მიმართულებათა გავლენას განიცდიდა, და ამგვარად იშხამებოდა მთელი ქვეყანა. ამის ნიშნები ყოველგან მოსჩანს. „ეროვნულმა სოციალისტებმა“ თავიანთი მოღვაწეობა ამ სარბიელზე და ერის წინასწარი ფსიხოლოგიური მომზადება ყოველგვარ სიურპრიზისათვის, დააგვირგვინეს, როგორც ცნობილია, პარტიულის დეკრეტით, რომლის ძალით მომავალ საქართველოს საზღვრებიდან საქართველოს სამი უძველესი მაზრა უნდა იქმნას გამორიცხული. ამ გვარ დეკრეტისთვის, როგორც სჩანს, ნიადაგს ამზადებს ქ. სოხუმის ქართული თვითმართველობაც.

ჩვენი გაზეთის 172 №-ში დაბეჭდილი იყო ფრიად საგულისხმიერო საბუთი იმის შესახებ, რომ სოხუმის ქალაქის თვითმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს მეფის ნაცვლის წინაშე, რათა მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა სოხუმის ოლქის კულტურ-ტრეგერებს (sic!), ბერძნებსა და სომხებს და კერძოდ სომხებს მინიჭებოდა **კერძო საკუთრების შეძენის** უფლება სოხუმის ოლქში. ჩვენი ცხოვრების მატიანე სავსეა აღმაშფოთებელი ფაქტებით, თუ როგორ ჰყრიდნენ სოხუმის ოლქიდან და შავი ზღვის გუბერნიიდან იქ დასახლებულ მეგრელებს, თუ რანაირის სიმძაფრით ებრძოდა გარუსების პოლიტიკა უმიწა-წყლო მეგრელთა საკოლონიზაციო მოძრაობას თავისავე ისტორიულ სამკვიდრებელის საზღვრებში... სოხუმის ქალაქის თვითმართველობა არა-ერთხელ ყოფილა უშუალო მომსმენი და მოწმე აყრილ მეგრელთა ოჯახების მოთქმა-ტირილისა და ჩივილის. და აი პასუხად გარუსების პოლიტიკის ასეთ საქციელზე, პასუხად, დღეს-აც უმიწა-წყლო მოწანწალე მეგრელთა ოჯახების ვარამ-ჩივილზე ქ. სოხუმის ქართული თვითმართველობა ოფიციალად შუამდგომლობს ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ოსმალთა ქვეშევრდომ სომხებს უფლება მიეცეს შეიძინონ კერძო საკუთრება სოხუმის ოლქში! ეროვნული პოლიტიკაც ასეთი უნდა! აბა, დააჩქარეთ ეროვნული სხეულის დარღვევის პროცესი, ოფიციალად გაჰყიდეთ ერის საკუთრება უცხო ტომზე, შეჰქმენით ეთნოგრაფიული სიჭრელე, ახალი რეალი მოსახლეობა, რომ შემდეგში ერთმა ჯგუფის სოციალისტებმა სოხუმის ოლქის ჩამოჭრის დეკრეტი გამოსცენ, ხოლო მეორე ჯგუფის სოციალისტებმა ეროვნულ-ტერიტორიული პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნის უნიადაგობა „დაგვიმტკიცოს“!

განაგრძეთ მარჯვნივ და მარცხნივ, დასავლეთით და სამხრეთით საქართველოს საკუთრების გაბოძება და მისი სხეულის ძიძგნა. განაგრძეთ... ვიდრე გამოღვიძებული საქართველო, თვის ეროვნული საკუთრებისა და თვისი ეროვნული თავისუფლების ხარბი დამცველი, ბოლოს მოუღებდეს სასომიხდილთა და ეროვნული უილაჯობის იდეოლოგთა ქვეყნის დამღუპველ პარპაშს. სოხუმის თვითმართველობის საქციელი წამავალი მონური საქართველოს უკან ჩამორჩენილი უბადრუკი და უბელადო რაზმის უკანასკნელი პაროქსიზმია!

## რუსული პრესა

კარგა ხანია დაბეჯითებით ამბობდნენ, მაღალ წრეებში ზოგიერთა ცნობილი პირები ნიადაგს ამზადებენ და სცდილობენ აიძულონ რუსეთი სეპარატიული ზავი შეჰკრას გერმანეთთან. ამგვარი ყრუ ხმები დიდათ აღელვებდა და აჩოჩქოლებდა რუსეთის საზოგადოებას. მთავრობამ რამდენჯერმე უარჰყო ეს ხმები, მაგრამ ყველა მაინც გრძნობდა, რომ მართლაც სადღაც ვიღაცა პირები განაგრძობენ მუშაობას ამის შესახებ „რუსკ. ვედ.“ სწერს:

როგორც როდზიანკოს განცხადებიდან სჩანს, თავად ვასილჩიკოვის ასული იმ ფარულ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს, რომელმაც პირველად დაიწყო თავისი ქსელის გაბმა ჯერ საზღვარ გარედ და მერე პეტროგრადში. დაწვრილებითი ცნობები იმ ორგანიზაციისა, რომლის იარაღად ვასილჩიკოვას ქალი უნდა ჩაითვალოს, ჯერ არავისა აქვს. ეს კი ცხადია, რომ მათ მიზნად დაუსახავთ რუსეთის დაღუპვა, მისი შერცხვენა და თავლაფ-დასხმა. ზიზღით გული აევსება ყოველ ნამდვილ მამულიშვილს, რომ დესაც შეიტყობს, რომ ყოფილან ჩვენში ისეთი პირები, რომლებიც დაუფიქრებლად მუშაობენ გერმანეთის სასარგებლოდ.

გაზეთი ამბობს, რომ მას სრულებით არ აკმაყოფილებს მინისტრ ხვოსტოვის განცხადება და მოითხოვს დაუყოვნებლივ იქმნეს მიღებული ზომები ამგვარ პირთა ასალაგმავად.

## ნარკვევი

სულიერი განწყობილება რუსეთისა უკვე შეიცვალა. პირველ აღფრთოვანების ნაცვლად დღეს მწარე დუმილი სუფევს ყველგან. გაზეთი „დენ“-ი სწორედ ამის შესახებ სწერს:

თითქმის გაჟრჟოლებს, როდესაც გრძნობ თუ რა აუტანელი მყუდროება სუფევს ჩვენს გარშემო. თითქოს რუსეთი გაიყინა, გაქვავდა იმ უბედურობისაგან, რომელიც მას თავს დაატყდა. სახელმწიფო სათათბირო ქსელში გაება. საბიუჯეტო კომისია მუშაობს, რაღაცას აკეთებს, რა ხდება იქ დანამდვილებით არავინ იცის. საზოგადოებას სძინავს და სიზმარში ჰხედავს მხოლოდ შეშას, ფქვილს, შაქარს, ერბოს ასანთს და სხვ.

ამ საერთო მყუდროებას არღვევს მხოლოდ ერთი პატარა აღვირახსნილი ჯგუფი, რომელიც დღითი-დღე უფრო და უფრო თავხედობს. ესენი გახლდნენ მემარჯვენეები. ახლა მათმა მთავარმა შტაბმა გამოსცა ცირკულიარი, რომელიც ყველა სტრიქონი შეურაცხყოფაა კანონისთვის და საზოგადოებისათვის.

გაზეთს უკვირს, რომ ამ „პატრიოტებს“ სრულებით არ აინტერესებთ დღევანდელი მდგომარეობა რუსეთისა და რევოლიუციის წინააღმდეგ ძველებურად „პოგრომე“-ბისათვის ემზადებიან. კვლავ განაახლეს ჯაშუშობა, მაბეზღრება. ადვილი გასაგებიაო, ამბობს გაზეთი, თუ რა განსაცდელისაკენ მიაქანებენ რუსეთს, თავიანთ მოქმედებით მემარჯვენე პარტიებიო.

## ახალი ამბავი

◆ **განჯის გუბერნატორად** ინიშნა სტავროპილის საერობო გამგეობის თავმჯდომარე მ. პ. პოიარკოვი, ხოლო ვიცე-გუბერნატორად წითელ ჯვრის მთავარ რწმუნებულის თანაშემწე ბ-ნი დომერშჩიკოვი.

◆ **ბაქოს ქალაქის უფროსად** განჯის გუბერნატორი კოვალიოვი ინიშნება.

◆ **ქალაქის სკოლებში.** ხმოსანმა ს. თ. ხუნდაძემ ვრცელი მოხსენება შეიტანა ქალაქის სამოსწავლო კომისიაში. თვის მოხსენებაში იგი სთხოვს ქალაქის კომისიას მოაწესრიგოს საუზმის საკითხი ღარიბ მოწაფეთათვის, რომელნიც თითქმის მშიერნი მოდიან სასწავლებელში და ყველი და პური მაინც მიაწოდონ შუადღისას ბ-ნ ხუნდაძის გამოანგარიშებით ასეთი მოწაფეთა რიცხვი 6 ათასს სჭარბობს. საქალაქო კომისიამ, განიხილა რა ეს საგულისხმიერო განცხადება ბ-ნ ხუნდაძისა, დაადგინა კომისიის თანხის ნაშთიდან ეხლავ გადიდოს სამი ათასი მანეთი და 7 ათასიც ეთხოვოს ქალაქის საბჭოს.

◆ **ნესტორიანთა პატრიარქი.** გუშინ დილით სწრაფი მატერებლით თბილისში ჩამოვიდა ნესტორიანთა პატრიარქი და აისორთა ხალხის უფროსი მარში-მუნნი. სადგურზე მათ უწმინდესობას შეხვდნენ მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწე გენ.-მაიორი თ-დი ვ. ნ. ორლოვი, თბილისის გუბერნატორი ი. მ. სტრახოვსკი, ვიცე გუბერნატორი პანოვი და ნესტორიანთა წარმომადგენელნი.

ნესტორიანთა პატრიარქმა გუშინვე ინახულა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

◆ **სკოლების დათვალიერება.** წ. კ. საზ. სკოლების მეთვალყურე ბ-ნი გრ. ბურჭულაძემ სკოლები დაათვალიერა ბაქოს, ნალჩიკს, კავკავს და გერგეთში და 20 ამ თვეს თბილისში დაბრუნდა. ბაქოს სკოლაში სწავლობს 80 ვაჟი და 64 ქალი, კავკავში 107 ვაჟი და 20 ქალი, გერგეთში 28 ვაჟი და 15 ქალი.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისთვის** ხორბლისა და ფქვილის გამოწერა დაუვალებია შემდეგ სოფლებს: წყნეთს—100 ათასი ფუთი. გლდანის წვრილ კრედიტის ამხანაგობას—800 ფ. ხაშმის საზოგადოებას—1 ვაგონი. დიდ-გომარეთის საკრედიტო ამხ.—3 ვაგონი, კარდენახის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას—3 ვაგონი, საგარეჯოს სოფ. საზოგადოებას—1 ვაგონი, საყდრიონისას—რამდენიმე ვაგონი, ახალციხისას—1 ვაგონი, საგურამოს წვრილ კრედიტისას—4 ვაგონი, ოძისისას—3 ვაგონი, ქვემო-ჭალისას—2 ვაგონი, დიდ-მეჯვრისხევისას—2 ვაგონი, ცხინვალისას—1 ვაგონი, მცხეთისას—1 ვაგონი, თალათ-სოფლისას—2 ვაგონი, ცხვარიჭამიისას — 1 ვაგონი, ქვემო-ნიჩბისისას—2 ვაგონი, ქარელისას—1 ნახ. ვაგონი, შორაპნის საკრედიტო ამხანაგობას 300 ათასი ფუთი სიმინდი, მენქალისისას (თბილ. მაზრა) 1000 ფ. დიღმის საკრედიტო ამხანაგობას 1 ვაგონი.

◆ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტმა** დაადგინა 21 ქრისტეშობისთვეს: თბილისში მყოფ გადმოხვეწილ სომხებს მხოლოდ მიმდინარე თვის დამლევამდე აძლიოს დახმარება, რადგან ფული ელევა კომიტეტს, და შემდეგ წინადადება მისცეს მათ თბილისიდან გავიდნენ; 2) მონახოს შესაფერისი ბინები თბილისსა, ყარაკლისსა და დილიჟანში ობოლ ბავშვებისათვის თავშესაფარების გასამართავად; 3) იყიდოს გადმოხვეწილთათვის 5.000 ფუთი ფინდა; 4) მიიღოს მეფის ნაცვლის კანცელარიის მიერ შეძენილი რამდენიმე ათასი თბილი ნივთები გადმოხვეწილთათვის დასარიგებლად; 5) გაგზავნოს ბათომში 1,500 მანეთი გადმოხვეწილთა სასარგებლოდ; 6) ტაბახმელაში იქირაოს ყაზაროვის სახლი გადმოხვეწილთა ობლებისათვის თავშესაფარის მოსაწყობად და 7) გაიგზავნოს ყარაკლისს 20 ფუთი მატყლი და 500 მანეთი ფული ობოლ ბავშვთათვის თბილ ტანსაცმელების შესაკერად.

◆ **დამფუძნებელი კრება.** ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის წევრთ იანვრის პირველ რიცხვებში ექნებათ დამფუძნებელი კრება. კავშირში ყველა დაწესებულება სისწრაფით ეწერება წევრად.

◆ **გამოქცეულთა** შესანახათ 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ქალაქთა კავშირს შეუტანია ერთი მილიონი 900 ათასი მანეთი.

◆ **მოსკოვის ახლად დაარსებულ დრამატიულ წრეს** გამოუგზავნია ქ. თბილისში თავისი რწმუნებული ესტ. ფენრიხსენი, რომელსაც დავალებული აქვს ორგანიზაციის საქმე. ამ წრეში ქართული რეპერტუარი, ისევე ტანისამოსი და მუსიკალური ინსტრუმენტები წრისაოვის.

◆ 18 ქრისტეშობისთვეს ბაქოში გაიმართა წარმოდგენა ავადმყოფ მსახიობ-რეჟისორის ვ. შალიკაშვილის ხასარგებლოდ. შემოსავალი 650 მანეთამდეა.

◆ **პაპაჯანოვის დაბრუნება.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბ-ნი პაპაჯანოვი ერევნიდან თბილისს დაბრუნდა, საცა იგი წასული იყო გადმოხვეწილ სომეხთა მდგომარეობის გამოსაკვლევად.

◆ **გადამდები სენი.** 22 ქრისტეშობისთვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვა ხოლერიანი 2, ქუნთრუშიანი 149, ხუნაგიანი 18, საოფლიანი 21, ვვავილიანი 3 და სახადიანი 25 კაცი.

**ჟუთაისი.**

19 ქრისტეშობისთვეს საკრებულოს დარბაზში მოხდა ამ საკრებულოს წევრთა საზოგადო კრება, შესახებ იმისა, რომ ძველი მამასახლისები და „ეკანომი“ თავიანთ თანამდებობიდან გადაეყენებიათ და მათ მაგიერად ახლები აერჩიათ. როგორც გამოირკვა მათ ბრალდებოდათ ფულის უკადრისად მოხმარა და „ეკანომს“ კი 2,000 მანეთის ბანქოს (კარტი) დაკარგვა. კრებამ დაადგინა გადაყენებული იქნეს ხსენებული მამასახლისები და „ეკანომი“ და მათ მაგივრად არჩეული იქნენ ახლები მხოლოდ 1 იანვრამდე. მამასახლისებათ აირჩიეს თ-დი ნ. ლორთქიფანიძე, ს. ი. მხეიძე, ექიმი ს. ი. ხეჩინოვი, ა. თაბაგარი, სვანიძე და გეტენკო. „ეკანომის“ არჩევა მამასახლისებს მიენდო.

**ბათომი.**

დღეს 23 ქრისტეშობისთვეს უკანასკნელი გასტროლია ქუთაისის ქართული დასისა, წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „ვიდრე ხვალ უფალო? ქრისტიანეთა დევნის დროიდან. წარმოდგენები საღამოს შვიდის ნახევარზე დაიწყება.

**გორი.**

18 ქრისტეშობისთვეს ქალაქ გორის საკრებულო დარბაზში მოხდა მომხმარებელ კოოპერატივის დამფუძნებელი კრება. აირჩიეს გამგეობა, რომელშიაც მოჰყვნენ ექიმი კ. პავლეკო, და რუდნევი, შ. გოგებაშვილი, ი. ირემაშვილი, ნ. კლიმიაშვილი, მ. რაზიკაშვილი და ა. გინზბურგი. სარევიზიო კომისიის წევრებად: სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი ვ. სმირნოვი, ხაზინადარი ა. შატუნოვი და სავაჭრო გიმნაზიის დირექტორი რ. ზაალიშვილი. გამგეობა უკვე შეუდგა საწევრო ფულის შეკრებას.

— 23 ქრისტეშობისთვეს ადგილობრივი სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით გაიმართება დაბალ ფასიანი სახალხო ლექცია, რომელსაც წაიკითხავს სტუდენტი იოსებ ირემაშვილი შემდეგ თემაზედ: „ცოტა რამ კოოპერაციაზედ...

**ქავკავი.**

მისაბაძი ანდერძი. წარსულ ზაფხულში აქ გარდაიცვალა დიღმელი 70 წლის ბ-ნი მარიამული, ხელობით მებუფეტე. მან უანდერძა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 1.000 მან., ამავე საზოგადოების კავკავის განყოფილებას 1.000 მან. ანდერძი უკვე დაამტკიცა კავკავის ოლქის სასამართლომ. ნების ამსრულებლად დანიშნული არიან კავკავის ცნობილი გრ. მ. ბურდული, ბ-ნი ანანიაშვილი და ერთიც სხვა.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**

მოსკოვის ქართველ საზოგადოებასთან დაარსდა დრამატიული სექცია, რომელსაც აზრად აქვს დრო და დრო გამართოს ქართული წარმოდგენები.

## სოციალისტური აზროვნების შედეგები

ძველის მოგონების გაგრძელებითი მოქმედების ძალით, წინანდელი გაბატონებული საზოგადოებრივი ფსიხიკის ინერციით დღესაც, ომის დროსაც, ჩვენში ის პოლიტიკური აზრები და საზოგადოებრივ-სოციალი დოკტრინები მუშაობენ და მოქმედებენ, რომელნიც ჩვენი ცხოვრების ღერძად არიან ქცეულნი, მთელი ამ უკანასკნელ მეოთხედ საუკუნის განმავლობაში. სხვა ვინ გვყავს, რომ აქ იმ წამსვე სოციალისტები არ ვიგულისხმოთ, სხვა რა პრინციპი ან რა დოქტრინა უნდა გავიგულვოთ, თუ არ სოციალიზმი და მისი მოძღვრება; სხვა რომელი პარტიები და ორგანიზაციები უნდა გვყავდეს სახეში, თუ არ სოციალისტური, ან მოსოციალისტე პარტიები?! დიახ! სწორედ სოციალისტურ მოძღვრებაზედ მოგახსენებთ, სწორედ ჩვენებური სო

ციალისტური პარტიები გვყავს სახეში. აი ესენი მუშაობენ და მოქმედებენ ჩვენში ამ 15—20—25 წლის განმავლობაში; **მთელს** ჩვენს ცხოვრებაზედ მათი ზნეობრივი და საზოგადოებრივი ბატონობა არის გამეფებული. თუ რამ დანაშაულია ჩადენილი ერის წინაშე—ეს მათი პირადი დანაშაულია, დ მთელი პასუხისგება მათ პოლიტიკურ და „ეკონომიურ“ სინიდისზე სძევს. დღესაც ეს მოძღვრება მესვეურობს ჩვენს ქვეყანას. მისი გამაბათილებელი და მოპირდაპირე ძალა თუ შეჯგუფება ჩვენში ჯერ კიდევ არ გამონაკვთულა. ახალი სოციალ-პოლიტიკური მიმდინარეობა ჩვენში ჯერ ორგანიზაციულად ვერ ჩამოქნილა და ლოტბარის ჯოხი ხელში ჯერ კიდევ ვერ აუღია. კიდევ ერთხელ ხაზს გაუსვამთ, დღეს რომ დღეა, ჩვენში არ არის მიმართულება, რომელიც პოლიტიკური და პარტიული ორგანიზაციის მხრივ შემოკუთხულიყოს და სოციალისტურ პარტიებისთვის ქვეყნის **უკანონო** ბატონობა ჩამოეცალა და მათთვის ბუნებრივი სარბიელი მიეზომა. ამ მოვლენის ძალით ჩვენი სოციალისტური პარტიები სხვა საზოგადოებრივი მიმდინარეობათა ზედგავლენას არ განიცდიან, ისინი დღევანდელს პირობებშიაც ძველ შეურიგებელ დოქტრინიორებად დარჩნენ. უცენტრო ქვეყანაში განდგომილი ექსცენტრიული ოპოზიცა ბატონობს და ძველს ჰანგებზე მღერის. ქართული სოციალიზმი გავლენის გარეშე დარჩა. სხვაგან, სადაც ეროვნული ცხოვრება ჩვენისაზედ ერთი ათასად შინაარსიანია, ნაირ-ნაირი და შემოქმედი,—განყენებული დოკტრინები, ომი გამოცხადდა თუ არა, მყისვე დამარცხდენ. სოციალისტთა ბანაკში მოისპო მშვიდობიანობის დროის ოპოზიციური განდგომილება და თეორიული რადიკალიზმი. სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლები, „ექსცენტრიდან“ გამოვიდენ და შიგ შუაგულ ცენტრში მოექცნენ. ბ. ბ. გედის, სემბას, ვანდერველდეს, შეიდემანის და სხვათა მაგალითი გიმნაზიის მეორე კლასის შეგირდებმაც კი იციან. ევროპაში ქვეყნის ცენტრმა ყველა მოიზიდა, ყველა ჩაიდუღა. სოციალისტური დოკტრინის მიმდევარნი და ინტერნაციალის **თავისებურად** შემცნობი და გუნდრუკის მკმეველნი ცენტრს მოჰყვენ. მათ უთუოდ რომ დაჰკარგეს თავიანთი პოზიცია; უფრო ძლიერ და შემომქმედ ეროვნულ პრინციპსა და მიმართულებას დანებდნენ და მიეცნენ მის მოუგერიებელ გავლენას. სინამდვილე, როგორც ყოველთვის, დოკტრინაზე ძლიერი აღმოჩნდა. ჩვენშიკი, პირიქით, დოკტრინამ სინამდვილე სძლია.

სოციალიზმი შემომქმედი პრინციპი არ არის. იგია განმანაწილებელი პრინციპი არსებული ეკონომიურ-უფლებრივ საფუძვლის დარღვევის ნიადაგზე. იგი სპობს როგორც შემეცნებაში, აგრედვე პრაკტიკასა და სინამდვილეში ცნებას **თავისას**, ცნებას **საკუთარისას**, სპობს **საკუთრებას**, გადალახავს ეროვნულ საზღვრებს, ფეტიშად იხდის ინტერნაციონალს, რომელსაც არავითარი რეალი სახულება არ აქვს, და რომელიც არ ხასიათდება არავითარის რეალის თვისება-ატრიბუტით. იგი პყრობილია პლატონიურის ტრფიალით, სოლიდარობის გრძნობით, რომელიც ჩამორჩენილ ერის ცხოვრებაში გულუბრყვილო ჰუმანიურობამდე და თეორიულ ქრისტიანობამდე მიდის. დოკტრინულად შეცნობილი და შეგრძნობილი სოციალიზმი შეურიგებელია და თავის შინაარს მიუკიბ-მოუკიბავად, მთელი სისავსით ქადაგებს. ეს ოცდახუთი წელიწადია, რაც იგი ჩვენში მუშაობს. მისი არსი უარყოფითია. კერძო საკუთრების უარყოფა—სოციალიზმის მოციქულობის თავი და ბოლოა.

ს. კ—დია.

## კახეთის „კავშირი“

(დასასრული)

უხერხულმა ატმოსფერამ, რომელიც შეიქმნა „კავშირის“ დამფუძნებელ კრებაზე ბ. ლუკაშვილის წყალობით, ცუდი შედეგი მიიღო. უსაბუთო ხმებმა, ვითომ ქიზიყელები ლუკაშვილის წინააღმდეგ მოდიანო, ბ-ნ ლუკაშვილს თავდაჭერილობა დააკარგვინა და არა კორექტიული ზომები მიაღებია. წინასწარ თათბირზედ მან წამოაყენა უცნაური საკითხი, მიეღო თუ არა კავშირში 9 დამფუძნებელ ამხანაგობას დანარჩენი 30 საკრედიტო ამხანაგობა. ეს იმის შემდეგ, როდესაც „კავშირის“ კრების რამდენიმე დღის წინად შედგენილი იყო კიდეც ხარჯთ აღრიცხვა „კავშირისა“ 16000 მანეთისა და რასაკვირველია, მიღებული იყო მხედველობაში მთელი კახეთის 39 ამხანაგობა. 9 ამხანაგობის ოცმა წარმომადგენელმა დ. ლუკაშვილის მოთხოვნით უყარა კენჭი 30 ამხანაგობას და 9 შავი კენჭი უთავაზა. თავის მოძმე კოოპერატივებს. ეს ყოვლად უსამართლო და უაზრო საქციელი იყო რომელმაც შეყრილ დამფუძნებელთა წრეში დიდი არევ-დარევა შეიტანა. 30 ამხანაგობის წარმომადგენლები ამბობდნენ: „მაშ ბ. ლუკაშვილს სურდა ჩვენი აქედან გარეკვა?!“ რითი იყო გამოწვეული ასეთი საქციელი ბ. ლუკაშვილისა? შიშითა, ვაი თუ მე არ ამირჩიონო. ამაღე გრძნობით გამოწვეული იყო ბ. ლუკაშვილის ზოგიერთი სხვა უტაკტო თავდაუჭერლობაც, რომლის აღნუსხვას აქ არ შევუდგებით, და რომელიც უფრო და უფრო საერთო უსიამოვნობის ცეცხლს ნავთს ასხავდა. ყველა ამასთან ბ. ლუკაშვილის ასეთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯებმა ხელოვნურად შეჰქმნა სამაზრო შეჯგუფება. ისე გამოვიდა, თითქოს თელავის მაზრა ბ-ნ ლუკაშვილის მომხრეაო, ხოლო სიღნაღი მისი წინააღმდეგიო. რასაკვირველია ნამდვილად ასე არ იყო, მაგრამ ვიმეორებთ, ყველაფერი ეს ხელოვნურად ჰქმნიდა ბ. ლუკაშვილის უსაზღვრო თავმოყვარეობის უცნაურს პოზიციას.

ბ-ნ ლუკაშვილს დიდი ხალისით ვსთავაზობდით, საჭირო მორალურ დახმარებით და გულისყურით ვეკიდებოდით მის მოქმედებას წვრილ საკრედიტო კოოპერაციის ასპარეზზედ. ვხელმძღვანელობდით არა პირადის სიმპატია-ანტიპატიით ბ. ლუკაშვილისადმი, არამედ სიყვარულით იმ დიდ და ახალ ეროვნულ საქმისადმი, რომლის შუა წრეში იდგა ეს ენერგიული პირი და რომელსაც სათანადო ტაქტით და ნამდვილის სიყვარულითა და ხასიათის სიმტკიცით ვერ მოექცა ბ-ნი ლუკაშვილი, დამფუძნებელ კრების იშვიათ დღეს.

და ეს ფრიად სამწუხაროა. საზოგადო საქმის გასაძღოლად არ კმარა მარტოოდენ ენერგია და საქმის ცოდნა, არამედ საჭიროა ფაქიზი მოპყრობა საზოგადოებისადმი, ტაქტი და უპირველეს ყოვლისა საქმის ინტერესის ყველაზედ უფრო მაღლა დაყენება. ამ სფეროში ბ-ნმა ლუკაშვილმა ეგზამენი ვერ დაიჭირა, და ბ-ნი ლუკაშვილი კავშირის გამგეობაში არ აირჩიეს. გაისწორებს ამ შეცდომას თუ არა, ეს ისევ ბ-ნ ლუკაშვილზეა დამოკიდებული და ბატონი ფორაქიშვილის წინადადება, რომ იგი ლუკაშვილს დაუთმობს თავის ადგილს, მოხდენილ საშუალებას იძლევა იმ სამწუხარო ატმოსფერის სალიკვიდაციოთ, რომელიც შეიქმნა კავშირის კრებაზედ. ის გზა, რომელიც კრებების დამთავრების შემდეგ, კრედიტის ინსპექციას, როგორც ამბობენ ბ. ლუკაშვილის დასტურით აურჩევია,—გზა მთავრობის წინაშე არჩევნების განსაჩივრებისა, ყოვლად მიუღებელი და შეუწყნარებელი!

წვრილ კრედიტის არჩევნებში ჩარეულ წვრილ კრედიტის მთავარს უწყებისა და ქართულ კოოპერატიულ შინაურ ცხოვრების გაქექვა გამოუსწორებელი დანაშაული იქნებოდა ეროვნულ საქმის წინაშე. რაც გინდა მოხდეს, ქართველი კოოპერატორები იმდენ სიმჭიდროვეს და სიმტკიცეს გაგამოიჩენენ, რომ დაიცვან თავიანთი ელემენტარული უფლება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხმები მოჭორილი ხმებია. ხოლო თუ ეს მართალი გამოდგა, ჩვენი კოოპერაციის მესვეურები ისე მოიქცევიან, როგორც ამას მოითხოვს ეროვნული ინტერესი და საქმის მომავალი.

## სათათბიროს დღიური

სათათბიროს საბიუჯეტო კომისიამ განიხილა გზათა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა. კომისიაში განმარტებას აძლევდა თვითონ მინისტრი ტრეპოვი.

**მინისტრი.** დიდად მოხარული ვარ, რომ შეძლება მომეცა დაგიახლოვდეთ და გავიცნო ისეთ დაწესებულების აზრი საერთო რკინის გზათა მდგომარეობაზედ, როგორც სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისია. მე მინდა გავიგო ყველაფერი დაწვრილებით, რაც კი შეეხება საქმის მდგომარეობას.

მინისტრი დაწვრილებით შეეხო რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობას და განაცხადა: უკვე დამუშავებულია კანონ-პროექტი ჯამაგირების მომატებისაო.

**კერენსკი.** მექრთამეობამ რკინის გზაზედ კარგა მანძილით გადააჭარბა ამ მხრივ განთქმულ საინტენდანტოს. თუ მოსამსახურეების სულიერი განწყობილება ძალიან დაეცა, ამის მიზეზი მარტო ნივთიერი უსახსრობა არ არის. თვით სათავეში, საღად მოაზრე პირები რომ იდგნენ, მაშინ უეჭველია ერთსულოვანება იმეფდება ყველგან.

მართალია თუ არა—ეკითხება კერენსკი მინისტრს,—რომ თქვენ ბრძანება გაეცით, რკინის გზის მსახურები მოსულიყვნენ მემარჯვენეთა ყრილობაზედ.

**მინისტრი.** ჩემი ბრძანება სწორედ ვერ გაიგეს. მე ნება დავრთე, მხოლოდ მახლობელ რკინის გზებიდან თითო აგენტისთვის მიეცათ წასვლის ნება ყრილობაზედ.

**გრინევიჩი** ლაპარაკობს მხოლოდ მსახურთა ბოროტ-მოქმედებაზე. დეპუტატი წინადადებას იძლევა, ჩამოახრჩონ რამდენიმე პირი, რომ სხვები ამის მაგალითით შეშინდნენ.

**შინგარევი** გულის წყრომას უცხადებს გრინევიჩს ამგვარ წინადადების გამო. თუ სახრჩობელას მივმართავთ, მაშინ ვინ იცის ვინ უფრო იქნება ღირსი ასეთ სასჯელისა. მექრთამეებენ როგორც პატარა მოხელეები, ისე ბოლოლებიც. ყველა ამ ბოროტ-მოქმედების ამოსაძირად საჭიროა შეიცვალოს მთელი მართვა-გამგეობის წესი.

## ქალაქის საგზო

21 ქრისტეშობისთვე

კრების თავმჯდომარემ **ა. ი. ხატისოვმა** მოახსენა საბჭოს: სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილის უმაღლესმა უფროსმა ა. პ. ოლდენბურგის პრინცმა თბილისში ყოფნის დროს დაათვალიერა განმანაწილებელი ჰოსპიტალი, აგრედვე ქალაქთა კავშირის ბევრი სხვა დაწესებულებანი და ყველგან მოიწონა სისუფთავე და წეს-რიგიო. წასვლის დროს მისმა უმაღლესობამ განუცხადა მეფის ნაცვალს დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, რომ წინანდელთან შედარებით კიდევ უფრო გაუმჯობესებულა ქალაქთა კავშირის დაწესებულებანიო.

**სასურსათო კომისია.**

გამგეობის წევრმა **ს. ა. ჯაბარმა** მოახსენა კრებას: ქალაქის სასურსათო კომისიამ მუშაობა დაიწყო 20 ქრისტეშობისთვეს. კომისიის თავმჯდომარედ არის ქალაქის მოურავი, ხოლო წევრებად—გამგეობის წევრი მ. ა. ჯაბარი, საბჭოს ხმოსნები ტერტეროვი, მარტირუზოვი და სოსინი, ქალაქის სამეურნეო კომისიის თავმჯდომარე, ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო ინსპექტორი, ვაჭართა საზოგადოების თავმჯდომარე, თბილისის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე, კავკასიის ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი, ერობათა კავშირის წარმომადგენელი, თბილისის კოოპერატივთა წარმომადგენელი და სხვანი, ვის მიწვევასაც საჭიროდ სცნობს კომისიის თავმჯდომარე. კომისია ექვემდებარება მიწადმოქმედების სამინისტროს მთავარ რწმუნებულს ბ-ნ შაშკოვსკის. კომისია მრავალი უფლებით არის აღჭურვილი: მას შეუძლიან გაჩხრიკოს საწყობები, რათა გამოარკვიოს რა და რა საქონელია ადგილობრივ და რისი გამოწერაა საჭირო; მოახდინოს კონფისკაცია პირველ საჭირო საქონლისა; დაიბაროს ესა თუ ის საქონელი; იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე სესხის აღების შესახებ საჭირო სურსათის შესაძენად; თვალ-ყური ადევნოს რკინის გზებით საქონლის წესიერად გადმოზიდვას. მოაწესრიგოს თბილისიდან პროვინციებში ამა თუ იმ საქონლის გაზიდვის შესახებ საკითხი და სხ. 20 ამა თვეს კომისიას საორგანიზაციო საკითხების შესახებ ჰქონია მსჯელობა. ამის შემდეგ იგი სისტემატიურ მუშაობას შეუდგება თავის მოვალეობის შესასრულებლად. კომისიას ყოველ კვირაში ექნება კრება ერთხელ, სახელდობრ შაბათ საღამოობით.

**ტრამვაის საქმე.**

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება შესახებ ტრამვაის მიღებაზე. გამგეობის წევრის **ა. მ. არღუთინსკის** განმარტებით გამგეობა წესიერად იბარებს ტრამვაის ყოველგვარ ქონებას. ეს მუშაობა დამთავრდება რამდენიმე დღის განმავლობაში. უსახელო საზოგადოებას, სხვათა შორის, აქვს საწყობი სხვა და სხვა საქონლისა, რომელნიც მუდამ დღე საჭირონი არიან, მაგალითად, ვაგონებისა და ლიანდაგის შესაკეთებლად, ელექტრონის სადგურისათვის და სხვ. არსებულ ხელშეკრულობის ძალით უსახელო საზოგადოებამ ყველა ეს საქონელი ქალაქს უნდა დაუთმოს, თუ ეს უკანასკნელი მოისურვებს, იმ ფასებში, რა ფასებშიაც თითონ საზოგადოებას უზის საქონელი. ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში დაათვალიერა ეს საწყობი და იმაში აღმოჩნდა ნასყიდობის კვალობაზე 230 ათასი მანეთის საქონელი, რომელიც ეხლანდელ ფასების მიხედვით ბევრად მეტი ეღირება. გამგეობა ფიქრობს, რომ ამ საქონლებში ბევრი რამ საჭირო არ არის, ჯერ-ჯერობით მაინც, ტრამვაისათვის. მაგრამ 115 ათასი მანეთის საქონელი კი უთუოდ საჭიროა ყოველდღიურ მოთხოვნილებისათვის და ამიტომ ეს საქონელი ეხლავე უნდა შეისყიდოს გამგეობამ. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრამვაის საქმეთა წარმოება არ მოხერხდება, რადგან ასეთი საქონლის მოტანა ეხლანდელ პირობებში და ასე მოკლე დროს განმავლობაში შეუძლებელია. გარდა ამისა, როცა ქალაქი ტრამვაის საესებით ჩაიბარებს და თითონ შეუდგება წარმოებას, პირველ 2—3 დღეში, სანამ საქმე კალაპოტში ჩადგებოდეს, საჭირო იქნება 15 ათას მანეთამდე წვრილმან ხარჯების დასაფარავად. ამრიგად, ამ ჟამადვე საჭიროა 130 ათასი მანეთი, რომელიც საბჭომ ქალაქის მიმდინარე ხარჯების დასაფარავ თანხიდან უნდა გადადვას. ეს ფული შეივსება იმ 300 ათასი მანეთიდან, რომელიც ქალაქს ერგება უსახელო საზოგადოებისაგან, მიმდინარე წლის 15 მარტიდან დღევანდლამდე.

(დასასრული იქნება)

## მცირე განმარტება

ორ წელზედ მეტია, რაც კახეთის რკინის გზის საქმეებთან ახლოს ვდგევარ და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ იმისთანა ვნახე და გავიგონე, რომ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა.

დიდი ხნის ოცნება აუსრულდა ტურფა კახეთს: გაკეთდა კახეთის რკინის გზა. მან უნდა აამოძრაოს კახეთის ცხოვრება სულ სხვა ნაირად, მან უნდა შექნას კახელთათვის საუკეთესო მომავალი და, აი, იმის ნაცვლად რომ ამ გზას ფარვანასავით თავს ვევლებოდეთ, მთელ ჩვენ სულს, გულს და ენერგიას მას ვწირავდეთ, მითქმა-მოთქმად გადავგცეულვართ და ვინ რას ამბობს და ვინ რას?!

სიჩუმე რომ სხვანაირად არ ჩამომართვან, მოკლედ შევეხები ზოგიერთ იმ ბრალდებათ, რომელნიც მხოლოდ მე შემეხება, როგორც მოძრაობის გამგეს:

1. — მაჭავარიანი კახელებს სამსახურში არ ღებულობს, სულ იმერლებით აავსო კახეთიო“, გაიძახოდენ ერთნი;

2. — იმერლებს ვინ დაეძებდა, რომ შორაპნელებით არ აეესო აქაურობაო“, ამბობდნენ მეორენი;

3. — გინახავსთ, მაჭავარიანმა ჩვენი პარტიის კაცი წამლად არ გააჭანა კახეთის გზაზედ!“ კვიროდნენ მესამენი.

4. — არა, ბატონო, სწორედ მოუთმენელი რამ არის, რომ ჩვენი თხოვნით არავინ არ მიიღო!“ ცხარობდნენ მეოთხენი.

5. — ჯერ-ჯერობით 68 თაეის ნათესავი მიიღო სამსახურშიო“, მაბეზღებდნენ უსახელო საჩივრით ამ ერთი წლის წინად; მეხუთენი ამიერ კავკას. რკინის გზის ჟანდარმთა სამართველოს უფროსთან.

6. — კახეთის რკინის გზა ჩვენი უმაღლესი ადმინისტრაციის ხელში ბ. მაჭავარიანის მეთაურობით საოჯახო, კერძო საქმედ გადაქცეულა და შიგ პროვინციალობა-ნათესაობას აქვს პირველი ადგილიო, არწმუნებდა საზოგადოებას მუშა კახელი და სხვ. და სხ.

რომ უფრო თვალსაჩინო შეიქნეს არარაობა ასეთი ბრალდებისა ნებას ვაძლევ ჩემ თავს აქვე მოვიყვანო სია მოძრაობის ნაწილის მოსამსახურეთა კახეთის გზაზე ამ წლის პირველ ენკენისთვეს.*)

*) რედაქციაში წარმოდგენილია კახ. რკ. გზის მოსამსახურეთა სრული სია, სადაც აღნიშნულია ყველას გვარი, თანამდებობა, ვისი თხოვნით არის მიღებული, რომელი მაზრიდანაა და სხვ. ამ ცხრილიდან მოგვყავს მხოლოდ ქვემოდ მოყვანილი ცნობები. დანარჩენი მსურველთ შეუძლიანთ იკითხონ რედაქციაში. რედაქციაში წარმოდგენილ სიიდან სჩანს რომ ამ გზაზე მსახურებს:

**თელავის მაზრელი** 8 ამათში 1 მატარებლის რევიზორია, 3 კონდუქტორი, 1 მთავარ-კონდუქტორი, 3 მეისრე.

**სიღნაღის მაზრელი**—20: 1 საქმის მწარმოებელი, 2 სადგურის უფროსი, 1 მატარებლის რევიზორი, 1 მთავარ-კონდუქტორი, 7 კონდუქტორი, 5 მსახური (სტოროჟი), 3 მეისრე.

**თბილისის მაზრელი**—9: 1 სადგ. უფროსი, 1 სადგ. უფროსის თანაშემწე, 6 კონდუქტორი, 1 მეისრე.

**დუშეთის მაზრელი**—8: 1 სადგურის უფროსი, 1 სადგ. უფრ. თანაშემწე, 6 კონდუქტორი.

**გორის მაზრელი**—15: 1 სადგურის უფროსი, 2 მატარებლის შემადგენელი, 9 კონდუქტორი, 2 მეისრე, 1 მოსამსახურე.

ეს ცნობებიც ნათლად არ ამტკიცებს ჩემს სიმართლეს?

უსაფუძვლოა ის ბრალდებაც, ვითომც ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენელი არ მივიღე სამსახურში. მე როგორც მოძრაობის უფროსს, ანუ მოძრაობის ნაწილის გამგეს, არც ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება არ მქონდა გამომეძია ამა თუ იმ მთხოვნელის პოლიტიკური მრწამსი. მე ვიყავი დაინტერესებული მხოლოდ იმით, თუ რას წარმოადგენდა ესა თუ ის მთხოვნელი როგორც ადამიანი და როგორც მოსამსახურე და ამ ფარგლებში ხდებოდა მათი მიღებ-დათხოვნაც...

სიმართლეს მოკლებულია ის ბრალდებაც, ვითომც კახეთის გზაზედ ჩემი ნათესავები მიმეღოს. ვაცხადებ, რომ არც ერთი ჩემი ნათესავიც არ მიმიღია. მხოლოდ თუ რომელიმე ჩემიანის გარეშე ნათესავი ჩემამდე იყო მიღებული აქ, ან და ჩემი სურვილის წინააღმდეგ მიიღო იგი ვინმემ, რა უფლება მქონდა იგინი უდანაშაულოდ გამემეძევებია სამსახურიდგან.

მოსამსახურეთა დაწინაურებაში ჩემთვის ორი საზომი არსებობდა დღემდე: პირველი პატიოსნება, მეორე კი მუყაითობა, საქმის ცოდნა და ზრდილობა. არავითარი ნათესაობა—პროვინციალიზმი აქ მოსატანი არ არის...

ამით ვათავებ ამ ჩემ მცირე განმარტებას და მასთან ერთად ამ საკითხის შესახებ გაზეთის ფურცლებზედ ყოველივე საუბარს.

**პეტრე მაჭავარიანი.**

## ქართულ სასოფლო სამეურნეო საზ. პრეგაზე

**ს. ნ. ყაზახიშვილი.** ამ მამულის აღების დროს მე პირადათ შორს ვიდექ ისეთ სანტიმენტალურ აზრებისაგან, როგორც მამული ილიასეული და სხვ. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ჩვენ სამოქმედო გეგმის მთავარ საგანთაგანია. ჩვენი მიზანია ჩვენი ინსტრუქტორების მოღვაწეობა დაუახლოვოთ სოფელს. საერობო თანხიდან მთავრობა 200 ათას მანათამდე ხარჯავს ამ საქმეებზე, ჩვენი ბიუჯეტი კი რაღაც 30 ათასს უდრისს. მერე რა გაუკეთებიათ იმათ? ჩვენი მუშაობა ეკუთვნის მთელ შთამომავლობას. ჩვენი მთავარი მიზანი—ხალხში მუშაობაა და საგურამოს მამული ერთ უმთავრეს ნაწილს შეადგენს ჩვენის მიზნისას.

**ვ. ბურჯანაძე.** ემხრობა რცხილაძის წინადადებას.

**თ-დი თაქთაქიშვილი.** წინააღმდეგია მამულის იჯარით აღებისა.

**რევ. გაბაშვილი.** ჩვენ დიდიხანია გვესმის, რომ საზოგადოება არას აკეთებს, მაგრამ როგორც ბ-ნ ყაზახიშვილმა ბრძანა, ერთ კაცს რომ ათასი საქმე აწევს მაშინ ასე ხდება, და სწორედ ამიტომ რომ ჩვენ ვერაფერს ვაკეთებთ და ვერ ვახერხებთ, საჭიროა პატარა ადგილი მაინც იყოს, რომ თვითონ ხალხი მივიდეს და დაათვალიეროს. აი მაგალითად როგორც იყალთოს მამული კახეთში უწევს სამსახურს ხალხს. თუ სამეურნეო საზოგადოება შეძლებს ამისთანა ბუდეს მოწყობას საგურამოში, ეს მეტად საჭიროველი იქნება ვინაიდან იმ სამეურნეო სკოლას, რომელიც საგურამოშია ამ 30 წლის განმავლობაში არა გაუკეთებიარა. სამეურნეო საზოგადოება კი ზარალის მაგიერ მოგებას ნახავს და ეს მოგება უნდა მოხმარდეს სხვა საჭიროებას. საჭიროა მხოლოდ საზოგადოებამ ცოტა ფული დახარჯოს და საქმეც კარგა წავა. საკითხის განხილვის გადადებაც მომავალ კრების განსახილველად მეტად მიმაჩნია. ავირჩიოთ ბატონებო ეხლა ისეთი პირები, რომელნიც ათას საქმით არ იყუნენ დატვირთულნი და მივანდოთ ამ გამგეობას, რომელიც არც წერა-კითხვას დაღუპავს და არც სამეურნეო საზოგადოებამ ცოტა ფული დახარჯოს და საქმეც კარგა წავა. საკითხის განხილვის გადადებაც მომავალ კრების განსახილველად მეტად მიმაჩნია. ავირჩიოთ ბატონებო ეხლა ისეთი პირები, რომელნიც ათას საქმით არ იყუნენ დატვირთულნი და მივანდოთ ამ გამგეობას, რომელიც არც წერა-კითხვას დაღუპავს და არც სამეურნეო საზოგადოებას.

**ალ. ორჯონიკიძე.** მომხრეა მამული კერძო პირებზე და იჯარადრებზე გაიცეს.

**ი. რამიშვილი.** წინააღმდეგობას აცხადებს კერძო პირებზე იჯარით გაცემისას.

კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა: აიღოს იჯარით ილიასეული მამული საგურამოში წერა-კითხვის საზოგადოებისაგან. განახლებულმა საბჭომ შეიმუშავოს პროექტი, საიჯარადარო ხელშეკრულობისა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობასთან ერთად და შინაარსი ამ პროექტისა მოხსენდეს არაჩვეულებრივ კრებას, რომელიც მოწვეულ უნდა იქმნეს მომავალ წლის თებერვალში.

(დასასრული იქნება)

## ნერილი კუთაისიდან

**ქალაქის გამგეობის წევრის არჩევის გამო.**

ქალაქის გამგეობის შემადგენლობის არჩევას საზოგადოება ყოველთვის ფრთხილად უნდა მოეპყრას, რომ იგივე შემადგენლობა ქალაქის გამგეობისა, ქალაქის მცხოვრებლების ჭირ-ვარამისათვის შრომობდეს და იღწვოდეს.

მართალია თვით საზოგადოებას ქალაქის გამგეობის არჩევა არ ეკითხება, მაგრამ საზოგადოებას ჰყავს სანდო წარმომადგენელნი—ხმოსნები, რომლებზედაც არის დამყარებული იმედები მთელი ქალაქისა. საზოგადოებას ღრმად სწამს, რომ ხმოსნები გაითვალისწინებენ საქმეს. ჩაუკვირდებიან თანამედროვე მდგომარეობას, გამოიჩენენ მიუდგომლობას და ღირსეულ ადამიანს აირჩევენ.

ამას მოითხოვს მოვალეობა თითეული ხმოსნისა, ამას მოითხოვს მდგომარეობა ეკონომიურათ და ყოველივე მხრით ჩამორჩენილი ქალაქისა...

რამდენათ ღარიბია ჩვენი ქალაქი შემოსავლის წყაროებით, იმდენათ ღარიბია მით გამგეობა შემადგენლობის მხრით. ორი კაცი უდგას ქალაქს თავში და რა თქმა უნდა, რაც უნდა დაინტერესებულნი იყვნენ ორნი საქმით, ყველაფერს ვერ მოაწესრიგებენ, რადგანაც ამ ომიანობის დროს საქმეები ერთი-ორათ არის გართულებული. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ პირველ უსაჭიროეს საკითხებზე ჩვენს ქალაქში თავს არ იწუხებენ და ამ რიგათ მცხოვრებლებს, სახსარი ესპობათ ცხოვრებისა. შორს რომ არ წავიდეთ, თვალი გადავავლოთ ადგილობრივ ზოგიერთ ჩარჩაჭრების თავგასულობას, რომელთაც ქალაქის გამგეობამ საშუალება ვერ მოუსპო ოინებისა და დავრწმუნდებით, რომ საჭიროა მეტი მოქმედება და სიფხიზლე.

ძალიან ხშირათ ქალაქში არ მოიძებნება შაქარი, პური, ნავთი და სხვა უსაჭიროესი სურსათი, ურომლისოდაც ადამიანს ცხოვრება არ შეუძლია. კრედიტები ეხლა ყველგან გახსნილია, (სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირი და სხვა.) ქალაქს სულ ადვილათ შეუძლიან აიღოს სესხი და მოაწყოს საქალაქოს საწყობები სხვა და სხვა სანოვაგისა, რომ მცხოვრებლებსაც გაუადვილონ საქმე და ქალაქსაც მოგება დარჩეს. ქუთაისში ასეთ როლს კი ისეთი ვაჭრები თამაშობენ და ხალხის ჯიბიდან მდიდრდებიან, რომელნიც საზოგადო საქმისათვის ორ გროშსაც არ გაიღებენ.

და ამას, რომ ბოლო მოეღოს, საჭიროა გამოინახოს ისეთი ადამიანი, რომელიც აღჭურვილი იქნება ცოდნით, იყოს გავლენიანი პირი, ნამდვილი მოქალაქე ჰქონდეს პრაქტიკა ამა თუ იმ საქმეში და არ ეზარებოდეს შრომა საზოგადო საქმისათვის.

ამას მოითხოვს ჩვენი ქალაქის საჭიროება და ჩვენი ხმოსნები უნდა ეცადნენ, რომ აირჩიონ გონებასაღი ადამიანი, რომელიც მარტო ფანტაზიებს არ ემყარება და ისეთ საქმეებს ჰკიდებს ხელს, რომლის განხორციელებაც ჩვენს დროში შესაძლებელი არის.

ბევრი კეთილი საქმის განხორციელება შეიძლება ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ, მაგრამ ჩვენ მას ყურადღებას არ ვაქცევთ და ისეთ რამეებს მოვითხოვთ, რაც ჩვენთვის განუხორციელებელია.

ამისთვის არის საჭირო დიდი დაკვირვება, რომ გამოცდილი პიროვნება იქნეს არჩეული ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრათ.

ამისთვის კიდეც არის არჩეული მოთაბმირე კომისია, მაგრამ კანდი-

**თიანეთის მაზრელი**—2 კონდუქტორი.

**ქუთაისის მაზრელი**—27: 5 სადგურის უფროსი, 2 სადგურის უფრ. თანაშემწე, 1 სათად. აგენტი, 17 კონდუქტორი, 1 კანტორის მოხელე, 1 მეისრე.

**შორაპნის მაზრელი**—11: 7 კონდუქტორი, 1 მწონელი, 3 მეისრე,

**სენაკის მაზრელი**—7: 1 სადგურის უფროსი, 4 კონდუქტორი, 1 მატარებლის შემდგენელი, 1 მეისრე.

**ოზურგეთის მაზრელი**—11: 1 სადგურის უფროსის თანაშემწე, 1 მთავარ-კონდუქტორი, 6 კონდუქტორი, 2 მეისრე.

**ლეჩხუმის მაზრელი**—2 კონდუქტორი.

**რაჭის მაზრელი**—1 კონდუქტორი.

**ზუგდიდის მაზრელი**—3: 1 მთავარ-კონდუქტორი, 2 კონდუქტორი.

დატის დასახელებას აგვიანებენ, დღეს თუ ხვალ კი არჩევნები მოხდება და დანარჩენ ხმოსნებს იგი გაუცნობელი დარჩებათ და არჩევნების დროს შეცდომაში შეველენ. საჭირო იყო აგრეთვე რომ კანდიდატის შესახებ პრესასაც გამოეთქვა თავისი აზრი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ პრესის ხელმძღვანელთა ყურამდის ჯერ არ მიუღწევია მას, თუ ვისი კანდიდატურა იქნება წამოყენებული.

ყოველ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის საბჭო დაკვირვებით მოიქცევა და აირჩევს ქალაქის გამგეობის წევრათ ისეთ პირს, რომელიც თავის ენერგიას ქალაქის საკეთილდღეოდ არ დაიშურებს.

ნამი.

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

26 ამა ქრისტეშობისთვეს ქართულ გიმნაზიაში გაიმართება სალიტერატურო საღამო აკაკის ხსოვნის აღსანიშნავად.

— ქუთ. გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას ნება დართო ქ. ბაქოდან ჩამოიტანოს სამი ვაგონი შაქარი.

— ქუთაისიდან, სამხედრო ექიმი დ. ჯაფარიძე თბილისს გადაიყვანეს.

**ს. გუმბრალი** (გურია).

მეჯოგე კვარანცხელიას ამას წინად თავს დაესხნენ ბოროტმომქმედნი, მოსტაცეს 13 წლის ვაჟი და მიიმალნენ, ჯერჯერობით ბოროტმომქმედთა კვალს ვერ მიაგნეს.

**ჩოხატაური.**

15 ქრისტეშობისთვეს აქ ჩამოვიდა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი ვიშნევსკი.

ვიშნევსკიმ რევიზია მოახდინა ახლად გახსნილ პირველდაწყებითი უმაღლეს სკოლაში. ქართულის ენის მასწავლებლად უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებელში დაინიშნა ანთ. ცინცაძე.

**თელავი.**

შაქარი თელავში კვლავ არ იშოვება. პურის ფასმაც საგრძნობლად აიწია. უკვე საგრძნობი სიცივეები დაიჭირა. გაძვირდა აგრეთვე შეშა.

**ს. ოქუმი** (სოხუმის ოლქი).

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ამ სოფლის მცხოვრებთ, დააარსონ მომხმარებელი საზოგადოება „წარმატება“.

**გოგირდ-შაბიამანი.**

სამეგრელოს წვრილ კრედიტის საზოგადოებები ცნობებს აგროვებენ. თუ რამდენი ფუთი გოგირდ-შაბიამანი დასჭირდება 1916 წ. სამეგრელოს.

**სოფ. დიმი.**

წვრილ კრედიტის ინსპექტორმა აქაურ საკრედიტო ამხანაგობაში რევიზია მოახდინა, სადაც საქმე ვერ აღმოჩნდა ხეირიანად დაყენებული. საზოგადოებამ ძველი გამგეობა გადაყენა და ახალი აირჩია.

**დიდი-ჯიხაიში.**

კვირას, ხუთ ამთვეს მოხდა დიდი-ჯიხაიშის კოოპერატივის საზოგადო კრება. ხალხი ბლომად დაესწრო. პეტრე გელეიშვილმა ხალხს განუმარტა კოოპერატივის მნიშვნელობა და მისი სარგებლობა.

**ს. ზემო გომი** (ქართლი).

აქაურ ინტელიგენციის მეთაურობით მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს კოოპერატიული ფურნის დაარსება, რომლისთვისაც შესაფერი შენობა უკვე მზად აქვთ.

**ძირულა** (ზემო იმერეთი).

ამ მოკლე ხანში ძირულაში გაიხსნება კოოპერატივის დუქანი და ეგნატე ნინოშვილის სახელობის სამკითხველო.

## დაგა-სოფლები

(საქართველოს სამხედრო გზა).

**ხევი.** არი იქნა და არ მოეღო ბოლო ქისტების მიერ ჩადენილს ბოროტმოქმედებას. წელიწადი ისე არ წავა, რომ მთიულ მოხევის მემცხვარე ანუ ამ გზით ცხენებით მოსიარულე მგზავრები არ იმსხვერპლონ ქისტებმა. რამდენიმე შეიარაღებული ქისტი ეცემა ცხვარს, ბინას, და მგზავრს და ართმევენ. უკეთუ შეუმაგრდა ვინმე და ცარიელის ხელით წაებრძოლა, სიცოცხლესაც უსპობენ. ამ ერთის თვის წინეთ თავს დაესხნენ ვასილი მალხაგაშვილის ცხვრის ფარას, მოუკლეს მწყემსი ნიკო ფიცხელაური და გაურეკეს ცხვარი, ამავე თვეში მეორეთ დაეცნენ უიარაღო მწყემსებს და ცხენებს მალსაგოვისას, დასტაცეს 22 ცხენი.

მარიამობისთვიდან 7-ჯერ მოხდა ასეთი ტაცობა კავკავის გზაზე. მგზავრებს სცარცვენ შეიარაღებული ჯარიახის ხეობის ქისტები.

12 ქრისტეშობისთვეს საღამოს 6 საათზე ლარსის სადგურთან ბალთისკენ მე-7 ვერსზედ თავს დაესხნენ იგივე ჯარიახის ქისტები 20-დე თავითფეხამდე შეიარაღებული ავაზაკი უიარაღოთ მოსიარულე მეურმე ოსეპის სოფელს თოთში მცხოვრებლებს გოგი, ნიკალას და იაგორა შირიქაშვილებს, საბრალოებს წინააღმდეგობა გაეწიათ და სამივენი ზედ სახელმწიფო გზაზედ დაეხოცათ, ორნი თოფებით და იაგორასთვის ხანჯლით ყელი გამოეჭრათ. საცოდავები სამივენი ჯეელი და მხნე ბიჭები იყვნენ. გამოძიება სწაროებს და არ ვიცი კავკავის მთავრობა რა ღონეს იხმარს ქისტების ასალაგმავად. საკვირველი ეს არის, რომ ამ ალაგას წინეთ, მშვიდობიანობის დროს, ყოველთვის ღამე ცხენებით ყაზახები დადიოდნენ, ეხლა ამ არეულს ჟამს-კი ღამე პატრული არ არის ამ განსაცდელიანს კავკავის გზაზე. თუ ასე მინებდა თავი და ყველა ეს ავი მოქმედება ჩაიფარცხა როგორც სხვაც ბევრი, დიდი საფრთხე ელის გაზაფხულზედ ყიზლარიდან მომდინარს ცხვრის ფარებს. ზელიმხანის ბრბო არასოდეს არ ერჩოდა მშრომელს ხალხსა. მაგრამ ეხლანდელი ავაზაკები უფრო მდაბიო და საწყალს ხალხს ხოცამენ და სცარცვამენ.

**კალმის წვერა.**

**ქსნის ხეობა.** ერთი დიდი სენი ჩვენი ხალხისა არის ცრუმორწმუნოება, რომელსაც ღრმად გაუდგამს ფესვები ჩვენს სოფელში, თუმცა საკმაოდ მოიპოვება იგი ქალაქის დაბალ და საშუალო შეძლების ხალხშიაც; შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ქ. გორის მკითხავი გრიქუროვი, რომელთანაც დაიარება არა მარტო დაბალი ხალხი, როგორც გორის ისე ახლო-ახლო სოფლელებისა, არამედ ბევრი „ინტელიგენტიც“.

სოფელი ამ მხრივ წყვდიადში იმყოფება და ყველაზე ძალიან ეს სენი გავრცელებულია ქსნის ხეობაში.

გლეხს გაუხდება ავათ ვინმე, შეხვდება რამე გადამდები სენი, მუშაობის დროს იტკენს რამეს, ნაღვინევს დაემართება რამე უბედურობა, თუ საქონელი დაეხუთება, მაშინვე მიეშურება მკითხავისაკენ, რომელნიც ბლომად არიან აქეთკენ. მკითხავი შეუღლოცავს ავათმყოფს, მისცემს წამალს და თანაც დააბარებს: აი ეს წამალი, ასვი როგორც მე გითხარი და თუ არ არგოს კიდევ მნახე. თავის ხელობას იგი ძვირად აფასებს, ამ ბოლო დროს ისინიც აჰყვნენ ფეხის ხმას და მკითხაობის ნიხრი ასწიეს.

სოფ. ლამისყანაში სცხოვრობს ერთი მკითხავი კაცი, რომელთანაც დაიარებიან სამკითხაოთ მახლობელ სოფლების მცხოვრებნი და რომელიც უტიფრათ ატყუებს ყველას.

ამ ბოლო დროს სოფ. მუხრანში მიდიან ხოლმე, სადაც თურმე სცხოვრობს ვიღაც მოლა; იგი ან თავის სახლში ულოცავს ავათმყოფს რამე ნიშანზე, ან სახლში მისდევს ავათმყოფის პატრონს და იქ ბურტყუნებს უზარო ლოცვას. სამკითხაოში აძლევენ ფულს, თივას, ფუჩეჩს და სხვა. სოფელს არა ჰყავს პატრონი, არა ჰყავს გულშემატკივარი.

**სოსო.**

## სხვა და სხვა ამბები

**პოლონელთა შორის.**

ომიანობისგან დაზარალებულ პოლონელთა დამხმარე მთავარ კომიტეტს დღემდი მიუღია შინაგან სამინისტროსაგან: 2.450,000 მან. ტატიანას კომიტეტისაგან 197,240 მან., სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირისაგან 41,000 მან., პეტროგრადის ქალაქის გამგეობისაგან 10,000 მან., საღამოებიდან და კონცერტებიდან შემოსულა 25000 მან.

— 11 ამ თვეს პოლონელებმა (ახალი სტილით) შობის დღესასწაულზე შემოწირულება გამართეს.

— ვარშავა-ბერლინის რკინის გზაზე გერმანელებმა ორი სამგზავრო მატარებელი მიუმატეს.

**ფინლიანდიის დიდ სამთავროს რკინის გზის შემოსავალი.**

ღვინობისთვის განმავლობაში ფინლიანდიის დიდ სამთავროს რკინის გზიდან შემოსულა 7,036,000 მარკა, 2,538,000 მარკით მეტი გასული წლის ღვინობისთვეზე.

— ფინლიადიის დიდ სამთავროს სეიმის მოწვევის ვადა კვლავ გადაიდო.

**გამოქცეული ებრაელები.**

მინისტრმა თ. შჩერბატოვმა ერთ დროს სატახტო ქ. პეტროგრადში მოსულ გამოქცეულთ შორის, ებრაელებსაც დართო პეტროგრადში დროებით ცხოვრების ნება. შემდეგ ხმა გავრცელდა, თითქოს ახალმა მინისტრმა ხელისტოვმა ეს დადგენილება გააუქმაო. ამის გამო ამას წინად ხვოსტოვს ეახლა ებრაელთა დეპუტაცია; მინისტრმა განაცხადა, თ. შჩერბატოვის განკარგულება არ დამირღვევიაო.

— სმოლენსკის თავად-აზნაურობამ დაადგინა გამოეყოს შეერთებულ თავად-აზნაურთა ჯგუფს. ასეთივე განაჩენი გამოიტანა ნიჟნე-ნოვგოროდის თავად-აზნაურობამ.

— გამოქცეულთათვის სამზრუნველო კომიტეტს დაუდგენია: იმ ადგილებში, სადაც კი გამოქცეულნი იქყოფებიან დაარსდეს სარეგისტრაციო პუნქტები.

— პეტროგრადში 14 ქრისტეშობისთვეს გამოქცეულთა დამხმარე კომიტეტს კრება ჰქონდა. სხვათა შორის ამ კრების შუამდგომლობით მთავრობამ 800,000 მან. გადასდო მდგომარე ზამთარში გამოქცეულთა საჭიროებისათვის.

— ურალში ქარხნების დასათვალიერებლად მოვიდა ვაჭრობის მინისტრი თ. შახოვსკი.

— რუსეთის სამხედრო მასალათა მომზადებელი მუშები „ქალაქის კავშირთა“ წინაშე შუამდგომლობენ, რომ ხსენებულმა კავშირმა ყურადღება მიაქციოს მუშათა აუტანელ მდგომარეობას და მათს სამუშაოზედაც ნორმა დააწესოს.

## გუშათა შორის

თბილისის საპარიკმახერო-სადალაქოთა მუშებს შორის არ იქმნა არ დაწესდა ნორმალურად სამუშაოს დროს განსაზღვრა. სადალაქო-საპარიკმახეროების პატრონები მუშებს, როგორც ჰსურთ ისე ამუშავებენ, კვირა-უქმე დღეებშიც საპარიკმახეროს მოხურულ კარებში უკან ოთახში გაჩაღებული მუშაობაა. არავითარი კულტურული გასართობის ან ჟურნალ-გაზეთების კითხვას საპარიკმახერო-სადალაქოების მუშები არ მისდევენ.

— თბილისის სასადილოების მოსამსახურეთა მდგომარეობა მეტად აუტანელია. მთელი დღის განმავლობაში ისინი მომწყვდეულნი არიან გახურებულ სამზარეულოში. ჟურნალ-გაზეთების კითხვას, ნამეტურ დაბალ მოსამსახურეთ შორის ვერავინ ვერ ახერხებს.

## რუსეთი

**ასანთის საკითხი.**

ასანთის საქმე რუსეთში ერთ საჭირბოროტო საკითხად გახდა იმის შემდეგ, რაც ადგილობრივ მწარმოებლებმა ძალიან აუწიეს ფასები. როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, ფინანსთა მინისტრს გადაუწყვეტია ნება დართოს უბაჟოდ შემოიტანონ ერთი მილიარდი კოლოფი ასანთი უცხო ქვეყნებიდან. თითო ყუთში უნდა იყვეს არა უმეტეს 75 ცალი ასანთი.

**აქციზის მომატება**

ფინანსთა მინისტრს შეუმუშავებია ახალი კანონპროექტი. ღვინის და ხილის სპირტზედ აქციზის მომატების შესახებ. პროექტის ძალით ღვინის სპირტს მოემატება 20 კ. გრადუსზედ. მინისტრის ანგარიშით ხაზინას შემოსავალი ექნება ამ ახალი გადასახადის შემოღების შემდეგ 2.800,000 მ.

მასთანვე მანისტრი აღნიშნავს, რომ საჭიროა ეს კანონი შემოღებული იქნას ძირითად კანონების 87 მუხ. ძალით.

## უცოდნეთი

**სუეცის არხი.**

როტერდამელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჰოლანდიაში დიდი სენსაცია გამოიწვია იმ განცხადებამ, რომ ახლო მომავალში გემები აღარ იელიან სუეცის არხით და კვლავ აფრიკას გარს შემოუვლიანო. აღმოსავლეთ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიები ამ გარდაწყვეტილებას სთვლიან იმის შედეგად, რომ თანდათან ნაკლებ ვრწმუნდებით რომ ჩვენი საქონელი დანიშნულს ადგილას მიაღწევსო. ამიერიდან იმის მაგიერ რომ კვირაში ერთხელ გაიგზავნოს სავაჭრო გემი, ახლა ათ დღეში ერთხელ გაგზავნიან ისევ ძველის გზით. რაკიღა ჰოლანდიიდან აღმოსავლეთ ინდოეთში ამ გზით მოგზაურობას დასჭირდება 14 დღით მეტი. ამ კამპანიებს მართლა მტკიცე საბუთი უნდა ჰქონდეთ შიშისა, რომ ასეთს მძიმე პირობებისთვის ხელი მოეკიდნოთ. სუეცის არხთან განსაკუთრებით ეშინიანთ ქვანახშირის შემოლევისა. ვაი თუ მის მოცდაში სურსათიც შემოგველიოს და უფრო მეტი ზარალი ვნახოთო.

იგივე კორესპონდენტი იტყობინება, რომ სუეცის არხის ნაპირებზე ათასობით ინგლისელები და ადგილობრივი მცხოვრებნი თხრილებს და სანგრებს აკეთებენ 6—7 ფუტის სიღრმეზე. განსაკუთრებით გაამაგრეს არხის დახავლეთი ნაპირი. დაბოლოს იგივე კორესპონდენტი იტყობინება, რომ ეგვიპტეში 240 ათასი ჯარისკაცი სდგას, ამასთანავე ახალ-ახალი ჯარები მოჰყავთ. ნეიტრალ ქვეყნებში ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ გერმანელთა გარდაწყვეტილებაზე, ამ ჟამად მაკენზენი ახლო ეგვიპტეზე გაილაშქრებსო. ამისთვის ეხლა იგი სტამბოლშია და შესაფერ გეგმას ადგენსო.

## ნარევი

ამერიკულ გაზეთში დასტამბული იყო მეტად საყურადღებო წერილი იმის შესახებ, თუ ჰაეროპლანებიდან როგორ აძლევენ ნიშანს მოდარაჯე ჯარს.

თავდაპირველად ჰაეროპლანებსა და მოდარაჯეთა ადგილებ შორის უმავთულო ტელეგრაფი იყო გამართული, მაგრამ ეს საშუალება შემდეგ შესცვალეს და უფრო გაუმჯობესეს.

ამ ბოლო წლებში საფრანგეთის ჰაეროპლანებს თან აქვთ ამერიკელ ჯემს მინსის გამოგონილი აპარატი ცილინდრის მსგავსი, სადაც თავსდება 32 ლიტრამდე მური. როდესაც ჰაეროპლანს რაიმე ნიშნის მიცემა სჭირდება, გაზის საშუალებით უშვებენ მურს სხვა და სხვა სახით და თავისიანმა უკვე იცის თუ ეს გამოშვებული კვამლის მსგავსი მური რასაც ნიშნავს. ასეთ ნიშანის მიცემას ის უპირატესობა აქვს უმავთულო ტელეგრაფის წინაშე, რომ მოწინააღმდეგე ვერ იჭერს. ასეთს საშუალებას ხმარობენ ფრანგები, ხოლო გერმანელები ტონატის სისტემის ნიშნის მიცემას ხმარობენ. ჰაეროპლანზე პროჟექტორი აქვთ, რომელიც საჭიროების მიხედვით 50 საათამდე ანთია. მისი ანთება და ჩაქრობა არის ნიშნის მიცემა. და სწორედ იმ მხრისკენ აანთებენ, ან ჩააქრობენ, საითაც მათთვის საჭიროა. ამ ბოლო დროს გამოირკვა, რომ ეს ნიშნები ღამით სჩანს 15, ხოლო დღისით 6 ვერსის სიშორეზე.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომლებმაც შემოსწირეს ფული გოჩა-ჯიხაიშის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის ზარის სასყიდლათ.

სია შემომწირველთა: ათ-ათი მანეთი: ვლადიმერ თ. ყუფარაძემ და გიორგი გაბ. ჩომახიძემ. ხუთ-ხუთი მანეთი: გერასიმე მათ. ვლადიმერ სიმ. ცაგერეიშვილებმა, გიორგი მიხ. ღოღობერიძემ, ერმილე გაბ. ჩომახიძემ. სამსამი მანეთი: ლუკა ოქ. ყუფარაძემ, კოლა ლევ. და კალისტრატე ივ. ცაგერეიშვილებმა, იოსებ ალ. ღოღობერიძემ, მღ. მელიტონ ცაგერეიშვილის მეუღლემ მატრონემ, ერმალოზ ნიკ. გოგავამ. ორორი მანეთი: თედორე იოსებ. ალექსანდრე ვას. სიმონ გ. ონისიმე ანდ. ცაგერეიშვილებმა, მღ. მელიტონ ცაგერეიშვილის ასულმა ნინომ, სერაპიონ ივ. ჩომახიძემ, თედორე ვას. ანდრიაძემ, ილია და ვასილ ნიკ. გოგავამ, ილია ეგნატეს ძე რაზმაძემ. თითო მანეთი ივანე დ. ყუფარაძემ, დავით ვარელისძემ, ვლადიმერ დარისპანისძემ, იოსებ დავითისძემ, ეპიფანე იე., ივანე და მღ. მელიტონ, ბესარიონ ბეგ. ცაგერეიშვილებმა, ილია ნ. გოგავას მეუღლემ, ვარლამ სპ. ჩომახიძემ, ტასია მელქაძის ასულმა და ალფეზ პ. ფარცვანიამ.

ხუთი მანეთი: ივანე გრ. ბესარიონ დავით. ცაგერეიშვილებმა, კოსტა დავ. ანდრიაძემ, დიანოს ვას. ფარცვანიამ, სარდიონ რ. ღოღობერიძემ და დანიელ ივ. ჩომახიძემ. ათი შაური გიორგი პ. ცაგერეიშვილმა.

მონდობილებით **ვ. ც.**

— —

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზეთის „საქართველოს“ ერთერთ ნომერში მოთავსებული იყო საყურადღებო წერილი, მღვდელმთავრის ლეონიდისა. იმ წერილში პატივცემული მღვდელმთავარი იძლეოდა წინადადებას: დაარსდეს აჭარლების შვილების საშუალო სასწავლებელში აღსაზრდელად ფონდი:

აღტაცებით ვეგებები ამ კეთილ განზრახვას პატივცემული მღვდელმთავრისას. და პირობას ვდებ ყოველწლიურათი მანეთი ვიხადო ამ საქმის სასარგებლოდ. ეხლა გაახლებთ ხუთ მანეთს და გთხოვთ დანიშნულებისამებრ გადასცეთ.

**ციხელი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

**სად გაიგზავნოთ ცნობები მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.**

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроградъ, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Красного Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военнопл'ѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la Croix Rouge.
Agence des prisonniers de guerre Genève.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბაქოდან. | 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. | საღ |
| № 5 ბაქოდან(სწრ.). | 7 ს. 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. | დილ. |
| „ საად. | 10 ს. 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. | დღ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა ტ წნორისკენ | დილ. 8 ს. 58 |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაისხნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

# „განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გავგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзѣ.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

წიგნის მაღაზია

# „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. მეგველლოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„„მეშჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.

წარმოდგენილია სამხედრო ცენზორისაგან